

## ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

### ქართული სარაინდო რომანი გერმანულ ენაზე

დარეჯან მენაბდე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო

e-mail: [darejan\\_menabde@yahoo.com](mailto:darejan_menabde@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.13>

**SJIF 2025: 8.584**

*მოსე ხონელის (XII ს.) სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ თავისი შინაარსით, მსოფლმხედველობითა და რაინდული სულის გადმოცემით უახლოვდება შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურის იდეალებს და არცთუ იშვიათად განიხილება ევროპული ლიტერატურის კონტექსტში. სტატიაში განხილულია „ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი (მთარგმნელები – ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი).*

**საკვანძო სიტყვები:** სარაინდო რომანი, მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“

მოსე ხონელის სარაინდო-სათავგადასავლო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. XII საუკუნეში შექმნილი ამ ძეგლით იწყება ახალი ეტაპი ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში, საფუძველი ეყრება საერო მხატვრულ ლიტერატურას. როგორც ჩანს, რომანი მალევე გახდა აღიარებული თანამედროვეთა მიერ – „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“, გვამცნობს „ვეფხისტყაოსანი“, თხზულების გმირები იხსენიებიან „თამარიანსა“ და თამარის ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

თანმედროვე მკითხველისათვის „ამირანდარეჯანიანი“ იმითაც არის საინტერესო, რომ მას ბევრი აქვს საერთო იმავე და მომდევნო ეპოქის ევროპულ სარაინდო რომანთან. სწორედ ამ საერთოობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ თხზულება თარგმნილია ინგლისურ (რ. სტივენსონი), ფრანგულ (გ. ბუაჩიძე), გერმანულ (ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი) და რუსულ (ბ. აბულაძე) ენებზე. ამჯერად საგანგებოდ შევხებით „ამირანდარეჯანიანის“ გერმანულ თარგმანს.

„ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი დაიბეჭდა გერმანიაში, ფ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის გამომცემლობაში, 1999 წელს [Mose Choneli, Amirandareschaniani. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fährich (Mose Choneli, 1999)]. თარგმანს საფუძვლად დაედო თხზულების 1969 წლის აკადემიური გამოცემა (მოსე ხონელი, 1969).

ტექსტის ერთობლივი თარგმანი შეასრულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის დამსახურებულმა მკვლევარმა, ზურაბ სარჯველაძემ და გერმანელმა ქართველოლოგმა, იენის უნივერსიტეტის პროფესორმა და კავკასიოლოგიის სექტორის ხელმძღვანელმა, ჟურნალ „გეორგიკის“ დამაარსებელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელმა წევრმა ჰაინც ფენრიხმა.

3. ფენრიხმა ჯერ კიდევ 1973 წელს გერმანულ ენაზე თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ [თარგმანი ორჯერ გამოიცა გერმანიაში (Orbeliani, 1973; Orbeliani, 1974)], გამოაქვეყნა წიგნი „ქართული ლიტერატურა“ (Fährich, 1981) და ა. შ. ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ერთობლივი ნაშრომებია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც ჯერ ქართულად გამოქვეყნდა (1990 წ.), შემდეგ – გერმანულად (1995 წ.), „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ (1975 წ.), „ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (1999 წ.) და სხვ. აგრეთვე მათი ერთობლივი მთარგმნელობითი მუშაობის შედეგია ქალაქ იენაში ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ [„Das Leben des Grigol von Chandsta“ (Giorgi Mertschul, 2000)] და „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა“ [„Das Leben des Giorgi Mtazmideli“ (Giorgi Mzire, 2001)] გერმანული თარგმანების გამოცემა.

„ამირანდარეჯანიანი“ იხსენიება არაერთი გერმანელი ავტორის ნაწერებში [ფრიდრიხ ბოდენშტედტი, ანტონ ბაუმშტარკი, რობერტ ბლაიხშტაინერი (რევიშვილი, 1977: 147-148, 162-164, 176)], მაგრამ ეს მაინც ზოგადი დასახელება იყო კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურის მიმოხილვებში. საგანგებო ყურადღება კი ამ რომანისთვის არ მიუქცევიათ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა ყოველთვის ინტერესს იჩენდა სარაინდო რომანის ჟანრის მიმართ. ამ მხრივ თვალსაჩინოა 3. ფენრიხის დამსახურება – მან მოსე ხონელი და მისი სარაინდო რომანი (სხვა ქართველ მწერლებთან ერთად) შეიტანა ე. წ. „უცხოენოვან მწერალთა ლექსიკონში“ [„Lexikon fremdsprachiger Schriftsteller. Georgische Schriftsteller“ (Fährich, 1979)], აგრეთვე საგანგებოდ გამოყო თავის წიგნში „Die Georgische Literatur“ [„ქართული ლიტერატურა“ (Fährich, 1981: 49-50)], სადაც 3. ფენრიხი გერმანულენოვან მკითხველს მოკლედ აცნობს XII საუკუნის საქართველოს ისტორიულ ვითარებას, მწერლობის განვითარებას, იმდროინდელი საქართველოს რაინდულ იდეალებს, პარალელს ავლებს „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანს“ შორის, მიუთითებს ამ რომანის მიმართებაზე ხალხურ „ამირანიანთან“, ეხება XVII საუკუნეში ძმები თანიაშვილების მიერ გალექსილ ვერსიასაც და ა. შ. ავტორის მიზანია, ამ სარაინდო რომანის წარდგენით გერმანულენოვან სამყაროში გაზარდოს ინტერესი ზოგადად ქართული მწერლობის მიმართ. ეს ყოველივე კი

ნათელს ხდის მის სურვილს, ქართველ მეცნიერთან, ზ. სარჯველაძესთან ერთად ხელი მოეკიდა ამ ტექსტის გერმანულად თარგმნისათვის.

„ამირანდარეჯანიანის“ ზემოხსენებული გერმანული თარგმანი იხსნება წინასიტყვაობით, რომელშიც მიმოხილულია ტექსტთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული-ლიტერატურული საკითხები. განსაკუთრებით გამოყოფილია ახალი ლიტერატურული ტენდენცია – საერო მწერლობა, რომლის აღმოცენებაც უკავშირდება XII საუკუნეს. ლაპარაკია სარაინდო რომანის სპეციფიკაზე, რომანის კომპოზიციაზე, რაინდულ იდეალებზე, რაც ზოგადად თავს იჩენს შუასაუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში. სწორედ ამ ახალმა ტენდენციამ განაპირობა ინტერესი ისეთი თხზულებებისადმი, როგორებიცაა ვისისა და რამინის სპარსული სასიყვარულო ისტორიის ქართული ვერსია „ვისრამიანი“ და სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“, ნახსენებია აგრეთვე ხალხურ შემოქმედებაში გავრცელებული გადმოცემები ამირანის შესახებ და სხვ. იქვე მითითებულია, რომ ტექსტის თარგმანი შესრულებულია ლ. ათანელიშვილის 1969 წლის გამოცემის მიხედვით (მოსე ხონელი 1969). წინასიტყვაობაში აგრეთვე მოკლედ წარმოდგენილია თხზულების შედგენილობა და შინაარსი (Mose Choneli, 1999: 3-4).

ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფენრიხის მიერ შესრულებული გერმანული თარგმანი არის „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის სრული თარგმანი და შედგება თორმეტი კარისაგან (Mose Choneli, 1999: 5-177):

Erstes Kapitel. Geschichte von Abesalom, dem König der Inder (გვ. 5-11); Zweites Kapitel. Geschichte von Badri, dem Sohn Iamans (12-25); Drittes Kapitel. Geschichte von Nosar aus Nisar (26-28); Viertes Kapitel. Geschichte von Amiran, Daredshans Sohn (29-34); Fünftes Kapitel. Geschichte von dem Araber Ambri (35-45); Sechstes Kapitel. Geschichte von dem Jüngling Indo (46-55); Siebentes Kapitel. Geschichte der strahlenden Gestirne (56-73); Achtes Kapitel. Geschichte von den Zauberkräften (74-97); Neuntes Kapitel. Geschichte von Sepedawle, Darispans Sohn (98-129); Zehntes Kapitel. Geschichte des Ritters Mse (130-160); Elftes Kapitel. Geschichte von der Blutrache (161-166); Zwölftes Kapitel. Geschichte von der Eroberung des Balcherlandes (167-177).<sup>\*</sup> თარგმანს არ ახლავს სამეცნიერო აპარატი.

XII საუკუნეში დაწერილი ამ ტექსტის თარგმნა უცხოურ ენაზე საკმაოდ რთული ამოცანაა. უპირველესად მნიშვნელოვანია, რომანის რაინდული სულის შენარჩუნება, სარაინდო ტერმინოლოგიის დაცვა, საბრძოლო ეპიზოდების გადმოცემის ადეკვატურობა, დიალოგების სრულყოფილად გადმოღება, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა სისწორე და ა. შ. მაგრამ უნდა

---

\* აქვე მკითხველს შევახსენებთ „ამირანდარეჯანიანის“ თორმეტი კარის სათაურებს ქართულ ენაზე: 1. აბესალომ ჰინდოთა მეფისა ამბავი; 2.

. ბადრი იამანის-ძისა ამბავი; 3. ნოსარ ნისრელისა ამბავი; 4. ამირან დარეჯანისძისა ამბავი; 5. ამბრი არაბისა ამბავი; 6. ინდო ჭაბუკისა ამბავი; 7. მნათობთა ამბავი; 8. ტილისმათა ამბავი; 9. სეფედავლე დარისპანის-ძისა ამბავი; 10. მზისა ჭაბუკისა ამბავი; 11. სისხლთა ძებნისა ამბავი; 12. ბალხეთს შესღვისა ამბავი.

ითქვას, რომ ეს ყოველივე განსაკუთრებული სიზუსტითაა გადატანილი გერმანულ თარგმანში. ეს, რასაკვირველია, განაპირობა იმან, რომ თარგმანზე მუშაობდა ორი მაღალი კომპეტენციის მეცნიერი, ქართველი ენათმეცნიერი ზ. სარჯველაძე და გერმანელი ქართველოლოგი ჰ. ფენრიხი. „ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი მათ მიერვე შესრულებულ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ გერმანულ თარგმანებთან ერთად ძველი ქართული მწერლობის ძეგლების საუკეთესო თარგმანთა შორისაა.

დასასრულ, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სტატიაში წარმოდგენილი „ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით ჯერ კიდევ საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას სპეციალისტთა მიერ. ვფიქრობ, ეს გადაუდებელი ამოცანა მკვლევართა სამომავლო საქმეა.

### ლიტერატურა:

1. **მოსე ხონელი**, – ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მერანი. 1969. 193 გვ.
2. **რევიშვილი, შ.**, – გერმანულ-ქართული ეტიუდები. თბილისი: თსუ გამომცემლობა. 1977. 377 გვ.
3. **Fähnrich H.**, – Die Georgische Literatur (Ein überblick). Herausgeber V. Kachniaschwili. Tbilisi: Verlag „Sabtschota Sakartwelo“. 1981. 271 გვ.
4. **Fähnrich H.**, – Georgische Schriftsteller (Washa-Pschawela, Qasbegi, G. Rtscheulischwili, Rustaweli, Saakadse, Sabanidse, Schatberaschwili, Schawteli, Schengelaia, Sulakauri, G. Tabidse, T. Tabidse, Teimuras I, Wachang VI, Mose Choneli). In: Lexikon fremdsprachiger Schriftsteller. Bd. 3. Leipzig: 1979. 386 გვ.
5. **Giorgi Mertschul**, – Das Leben des Grigol von Chandsta. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fähnrich. Iena: 2000. 86 გვ.
6. **Giorgi Mzire**, – Das Leben des Giorgi Mtazmideli. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fähnrich. Iena: 2001. 68 გვ.
7. **Mose Choneli**, – Amirandareschaniani. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fähnrich. Jena: 1999. 177 გვ.
8. **Orbeliani S.S.**, – Die Weisheit der Lüge. Übers. von H. Fähnrich. Berlin: Rütten und Loening. 1973. 268 გვ.
9. **Orbeliani S.S.**, – Die Weisheit der Lüge. von H. Fähnrich. [Frankfurt/M/]: 1974. 233 გვ.

**Darejan Menabde**Iv. Javakhishvili Tbilisi State University,  
Shota Rustaveli Literature Institute

Tbilisi, Georgia

e-mail: [eka.vardoshvili@tsu.ge](mailto:eka.vardoshvili@tsu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.13>**SJIF 2025: 8.584**

## **The Georgian Chivalric Romance in the German Language**

### **Abstract**

The novel of chivalry *Amirandarejaniani* by Mose Khoneli (12<sup>th</sup> century), according to its content, worldview and conveying of the chivalrous spirit is close to the ideals of European literature of the Middle Ages and not infrequently is discussed within the context of European literature. The article discusses the German translation of „Amirandarejanian“ (Translated – Z.Sarjveladze, H. Fenrich).

**Key words:** Chivalric Romance, Mose Khoneli, “Amirandarejaniani”

**რეცენზენტი:** პროფესორი ნინო კოჭლოშვილი